წარუმატებლობა ოდესაში

ოდესა. “ჩერნომორეცის” სტადიონი. 8 ივლისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ჩერნომორეცი”: იარჩუკი, ცუნინი, ნაიდა, არხიპენკო, სირომიატნიკოვი, მოსკალენკო, დერიაბინი, ბაზილევიჩი, ბოკატოვი, ლობანოვსკი, საკი.

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი (მაისურაძე), ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:1.

ჩემპიონატის სტარტზე განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ თბილისის “დინამომ” შეძლო გამოესწორებინა თამაში და მასთან ერთად – სატურნირო მდგომარეობაც. გუნდმა კარგად ჩაატარა მატჩების სერია და მიაღწია V ადგილს. აქ რამდენიმე ძლიერმა გუნდმა მოიყარა თავი და კონკურენციას მათ შორის ერთობ მწვავე ხასიათი მიეცა. საკმარისია მცირე შეფერხება და მეტოქეებს გზა ეხსნებათ დასაწინაურებლად.

აი, ასეთი შეფერხება განიცადეს გუშინ ოდესაში თბილისის დინამოელებმა. დასაწყისში მათ ძლიერი იერიშები მიჰქონდათ “ჩერნომორეცის” კარზე, სადაც ზედიზედ შეიქმნა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი. ბარქაიას, იამანიძეს, დათუნაშვილს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ არც ერთი მომენტი არ იქნა გამოყენებული, რამაც ოდესელებს საშუალება მისცა ჯერ გამოესწორებინათ თამაში, შემდეგ კი თვით აეღოთ ხელთ საერთო ინიციატივა. დინამოელთა კართან მოწოდებულ იქნა რამდენიმე კუთხური, მეკარე ურუშაძეს მოუხდა უაღრესად ძნელი ბურთების აღება, ერთხელ კი საკის დარტყმის შემდეგ თბილისელთა კარი ძელმა გადაარჩინა გოლს.

38-ე წუთზე იმავე საკმა ცენტრში მიაწოდა ბურთი და მოსკალენკომ ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა იგი მეტოქის კარში – 1:0.

მეორე ტაიმში ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. თბილისელები ხშირად უტევდნენ, მაგრამ “ჩერნომორეცი” კარგად იცავდა თავს და კონტრიერიშებსაც უნარიანად აწარმოებდა.

საბოლოოდ, “ჩერნომორეცმა” შეძლო ამ მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება და თავის სასარგებლოდ დაამთავრა მატჩი.

“ლელო”, 9 ივლისი, 1966 წ.